საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/47

ქ. ბათუმი **07 ნოემბერი, 2022 წ.**

მერაბ დიასამიძის ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/117 დადგენილების (ცვლილება 2022 წლის 04 ნოემბრის N06-01/130 დადგენილებით), ,,ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურად მერაბ დიასამიძის შერჩევის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის №06-01/132 დადგენილებისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2022 წლის 07 ნოემბრის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 07 ნოემბრის N06-01/132 დადგენილებით შერჩეული მერაბ დიასამიძის კანდიდატურა (16-წევრიანი წარმომადგენლობითი საბჭოს 16- წევრიანი შემადგენლობის მიერ 2022 წლის 07 ნოემბრის სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებიდან 16 ხმით).
2. მერაბ დიასამიძემ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 4-წლიანი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს **2022 წლის 07 ნოემბრიდან.**
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მერაბ დიასამიძეს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**